ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ N 119

ქ.ჯვარი 19 დეკემბერი 2023 წელი

ერთის მხრივ,ა(ა)იპ„წალენჯიხის მუნიციპლიტეტის ქ.ჯვარის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“,ს/კოდი(442728201)(შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდია ჯინჯილავას სახით და მეორე მარივ, შპს“გორგია“ (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის(მინდობილი პირი)ქეთევან ლომაძეს სახით(სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერიN170765119), ს/კოდი(245621288), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი1. ტერმინთაგანმარტებები

1.1 ხელშეკრულება - წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითურთ.

1.2 შემსყიდველი ორგანიზაცია - რომელიც ახორციელებს შესყიდვას

1.3 მიმწოდებელი პირი - რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.4 ხელშეკრულების ღირებულება -საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმამიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6 ფორს მაჟორი - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს კერძოდ,მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, რევოლუცია, აჯანყება, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდისხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ან იწვევს არათანაზომიერად დიდი ხარჯებს მათ შესასრულებლად.

მუხლი2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია ა(ა)იპ“წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ.ჯვარის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურს მიაწოდოს შემდეგი დასახელების საქონელი:

1.მაგიდა 120/60 10 ცალი X 109 ლარი=1090ლარიCPV-39130000;

2.დივანი რკინის კონსტრუქციით 1 ცალი X 299ლ=299 ლარი CPV-39113200;

3. სტელაჟი 5დონიანი ULTIMO fly171041 81X160X30 1 ცალი X 317ლ=317ლარი ;

4. სტელაჟი 5დონიანი ULTIMO fly171041 81X160X30 1 ცალი X 317ლ=317ლარი CPV-39151000.

მუხლი3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საგნის ღირებულება შეადგენს 2023(ორიათას ოცდასამი) ლარი.

3.2 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ

მომსახურეობის შესრულებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

მუხლი4. მიღება ჩაბარება და ანგარიშსწორება

4.1 შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდოანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნული ვალუტით.

4.2 შესყიდვის ობიექტზე მიღება-ჩაბარება გაფორმდება მიმწოდებლის მიერ მომსახურების დასრულების შემდეგ.

4.3 შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების სრული ღირებულების 0.2%-ის ოდენობით ყოველვადაგადაცილებულ დღეზე,ანგარიშწორების დარღვევის შემთხვევაში.

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ან სასაქონლო ზედნადების გამოწერიადან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.გამოწერიადან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 5.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1 მიმწოდებელი მომსახურების შესრულებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2023 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით.ზუგდიდი.ჯანაშიას ქ.#1-ში.

მუხლი6. მხარეთაუფლება მოვალეობები

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს

ა)განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.ბ) არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება, თუ ირღვევა ხელშეკრულების პირობები.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია

ა) გადაუხადოს მიმწოდებელს შეთანხმებული ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობებისდაცვით.

ბ) მიიღოს მიწოდებული მომსახურება.

გ) დაიცვასხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის მომსახურების ღირებულების ანაზღაურებახელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია

6.4.1 ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულივალდებულებები.

მუხლი 7. ფორს მაჟორი

7.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2 თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი

ვალდებულია დაუყოვნებლივ,მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგენის ან/და დასრულების შესახებ, წინაამღდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთაშეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიცჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად

8.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე

ბ)საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი9.დავების, მათიგადაწყვეტისწესი და გამოსაყენებელი სამართალი

9.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარეყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით.

9.2 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტებასაქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ანფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით

10.2 შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღიდან.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2024 წლის 20 თებერვლამდე.

მუხლი 12. განსაკუთრებული პირობები

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

„შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი “	“მ ი მ წ ო დ ე ბ ე ლ ი “
ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ქ.ჯვარის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“	შპს „გორგია“
ს/კ 442728201	ს/კ 245621288
მის: ქ. ჯვარი ქანთარიას N2	მის: ქ.ბათუმი,სოხუმის ქ#10
სახელმწიფო სახაზინო კოდი: TRESGE 22 ა/ნ 3497800000	ს/ს თიბისი ბანკი GE62TB1007536020100008
დირექტორი :მინდია ჯინჯილავა.	დირექტორის მინდობილი პირი:ქეთევან ლომაძე

Mindia Jinjolava 51001028291 Digitally signed by Mindia Jinjolava Date: 2023.12.19 17:09:41

Ketevan Lomadze 26001015243 Digitally signed by Ketevan Lomadze Date: 2023.12.19 17:40:18